კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის განათლების სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	**Integrated Bachelor's/Master's teacher training programme for primary level (I-VI grades) of general education**
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ინტერგირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	რეგულირებადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	03
ქართულად:	განათლების მაგისტრი (03)
ინგლისურად:	Master of Education (03)
პროგრამის დამტკიცების თარიღი	20.09.2018 ბრძანება #01/01 - 18
პროგრამის განახლების თარიღი	09.09.2019 ბრძანება #01/01-59 10.04.2020 ბრძანება #01/01-21 30.12.2020 ბრძანება #01/01-91
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ალუდა გოგლიჩიძე (ხელმძღვანელი) გიორგი ნოზაძე (თანახელმძღვანელი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამა არის 300 ECTS კრედიტიანი, რომელიც განაწილებულია 10 სემესტრზე და ყოველი სემესტრი მოიცავს 30 ECTS კრედიტს.

შესაბამისად, **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის** სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 5 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 21სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 42 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრ. საათს, რაცმოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი დასხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ კრ. საათს).

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

პროფესიისათვის განსაზღვრულ აუცილებელ კომპონენტს ეთმობა 240 ECTS კრედიტი, მათ შორის 180 ECTS კრედიტი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის საგნობრივ და მეთოდურ მოდულს, 60 ECTS კრედიტი სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულს. ხოლო თავისუფალი კომპონენტის მიდულს და არჩევით საგნებს 60ECTS კრედიტი, 20 ECTS კრედიტი - ინგლისურ ენას, 20 ECTS კრედიტი - დარგობრივ და პროფესიულსავალდებულო საგნებს. დარჩენილი 20 ECTS კრედიტი სტუდენტმა უნდა დააგროვოს არჩევითი კრედიტების სახით, რომელიც შეუძლია ამოირჩიოს 45 ECTS კრედიტიდან.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 300 ECTS კრედიტის ფარგლებში, სტუდენტს ასევე აქვს შესაძლებლობა მაქსიმუმ 20 ECTS კრედიტი (არჩევითი სტატუსის მქონე საგნების ჩანაცვლების ხარჯზე), აითვისოს თავისუფალი კრედიტებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის(I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზესწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები (ეროვნულ გამოცდებზე მოთხოვნილია უცხო ენის –ინგლისური ენის ჩაბარება).
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის კავკასიის განათლების სკოლაში გადმოსვლის სურვილის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის და საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი და სკოლის დეკანი, მათ მიერ შეთანხმებული შესაბამისობის საფუძველზე, სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიანი ბრძანებით.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	კავკასიის განათლების სკოლის **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის** მისია არის ქვეყნის ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების, წიგნიერების თანამედროვე გამოწვევევბის გათვალისწინებით ახალი თაობის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მომზადება, რათა მათ შეძლონ მოზარდების/მოსწავლეების მომზადება განათლების შემდეგ საფეხურებზე წარმატებების, ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებისა და ღირსეული ცხოვრებისათვის. დასახული მისიის მიღწევისთვის **პროგრამის მიზანია** თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის, პროფესიული უნარებისა და ღირებულებების მქონე სპეციალისტების მომზადება პედაგოგიკაში, რათა მათ: 1. შეასრულონ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსითა და დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა ერთობლიობა საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა შესაბამისად. 2. გააცნობიერონ თითოეული მოსწავლის უნიკალურობა და მათი პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისთვის გამოიყენონ სწავლების დიფერენცირებული სტრატეგიები. 3. საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე გააუმჯობესონ მოსწავლეთა მიღწევები და საკუთარი სასკოლო პრაქტიკა, ითანამშრომლონ მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან თითოეული მოსწავლის ჰარმონიული განვითარებისათვის, პრობლემის ერთობლივად გადაჭრისა და საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის. 4. იყვნენ რეფლექსიური, სიახლეების მიმღები და დამნერგავი პედაგოგიურ პრაქტიკაში, ფლობდნენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და შეეძლოთ მათი სწავლების პროცესში გამოყენება, ორიენტირებული იყვნენ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე. კავკასიის განათლების სკოლის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიას, რაც მდგომარეობს „კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადებასა და საზოგადოების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას“, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და პროფესიული უნარის მქონე სპეციალისტების მომზადება.

პროგრამის სწავლის შედეგები	”ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს: **შედეგი 1. იცის და გაცნობიერებული აქვს წიგნიერების კუთხით პედაგოგიკის თანამედროვე გამოწვევები, მიღწევები, სართაშორისო პრაქტიკა და მოზარდის შემდგომი წარმატებებისთვის დაწყებითი საფეხურის მნიშვნელობა, სპეციფიკა და ხელშემწყობი ფაქტორები, მისი თვალსაწიერი ფართოა** 1.1. იცნობს და იყენებს ზოგადიგანათლებისეროვნულმიზნებს, ეროვნულსასწავ-ლოგეგმას და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს, საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევებს, განვითარების თეორიებს და განმაპირობებელ ფაქტორებს, განათლების რეფორმირების ასპექტებს. 1.2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასების ფარგლებში ითვალისწინებს დაწყებითი საფეხურის, მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებებს, ორიენტირებული მოსწავლესა და შედეგზე. 1.3. შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება, რიოენტირებულია საკუთარი თვალსაწიერის გაფართოებაზე. **შედეგი 2. ფლობს ცოდნასა და უნარებს რათა დაგეგმოს და განახორციელოს სწავლა-სწავლების პროცესი, რომლის ცენტრშიც მოსწავლეა, უზრუნველყოფს შემოქმედებითი, დემოკრატიული და პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებას** 2.1. ფლობს მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვის კომპეტენციებს. 2.2. შეუძლია შექმნას, უსაფრთხო და დადებითი სასწავლო გარემო თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციალური-ემოციური და კოგნიტური განვითა-რებისთვის. 2.3. აცნობიერებს, რომ თითოეული მოსწავლე მნიშვნელოვანია, როგორც პიროვნება, ხოლო დიფერენცირებული მიდგომა მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ზრდის, მათი პიროვნული და კოგნიტური განვითარებისა და სასკოლო საზოგადოებაში ინტეგრაციასათვის. **შედეგი 3. ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებულებებსა და საჭიროებებს, როგორც სწავლა-სწავლების პროცესში, ასევე შეფასების ნაწილშიც, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ინკლუზიურობას.** 3.1. ფლობს სწავლა-სწავლების მრავალფეროვან, მოსწავლეზე ორიენტირებულ სტრატეგიებს, სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომის პრინციპებს. 3.2. შეუძლია შექმნას მოსწავლისთვის მამოტივირებელი სასწავლო გარემო - ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური. 3.3. იცის კლასის მართვისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები და შეუძლია შექმნას ინკლუზიური, არაძალადობრივი და კეთილგაწყობილი სასწავლო გარემო.

	შედეგი 4. უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და კვლევების გამოყენებას, როგორც წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისთვის, ასევე უწყვეტი პროფესიული განავითარებისათვის, აქვს უნარი თეორიული ცოდნა ეფექტურად და შემოქმედებითად გამოიყენოს პრაქტიკაში 4.1. იცისკველევების დაგეგმვა, შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნა/მოძიება, განხორციელება, მოსწავლეების კვლევით პროექტებში ჩართვა, ასევე საგანმანათლებლო ბეჭდური და ICT რესურსების მოძიება, შექმნა, ეფექტური გამოყენება საკუთარი, უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის. 4.2. იცნობს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებსა და კვლევებს, იცის პრაქტიკის კვლევის სპეციფიკა, წარმართვის თავისებურებები, შეუძლია პრობლემის/საჭიროების იდენტიფიცირება, ანალიზი, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მათი ეფექტიანობის შეფასება. 4.3. ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებასა და მათ პრაქტიკაში დანერგვაზე და აცნობიერებს კვლევაზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. **შედეგი 5. არის პროგრესული, შეუძლია იზრუნოს საკუთარი და კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე, შექმნას და განახორციელოს სხვადასხვა ხასიათის პროექტები, ჩაერთოს სასწავლო მასალების შექმნის თუ განვითარების პროცესებში, განათლების სისტემის განვითარების ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროცესებში.** 5.1. შეუძლია პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზის ხარჯზე. 5.2. აქვს სწავლის/ცოდნის მუდმივი განახლების, ახალ გარემოსთან ადაპტაციის და დამოუკიდებლად მუშაობის უნარები, შეუძლია პრობლემის გადაჭრა / გადაწყვეტილების მიღება. 5.3. იცნობს განათლების პოლიტიკის, ადმინისტრირების, პროექტების მართვის სპეციფიკას, შეუძლია იყოს საგანმანათლებლო ლიდერი.
დასაქმების სფეროები	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის დამთავრების შედეგად სტუდენტს მიენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად უფლება ექნება დასაქმდეს, როგორც საჯარო, ასევე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებაში, ასევე არაფორმალურ განათლებაში.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი										ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		V		
				E ECTS კრედიტი										
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
			თავისუფალი კომპონენტი მოდული	**15**	**5**	**5**	**5**	**5**			**5**		**5**	**45**
1	ACWR 1160	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5										5
2	PSYC 0006	არ გააჩნია	შესავალი ფსიქოლოგიაში	5										5
3	ENGL 0005/ ENGL 0007	არ გააჩნია	B1.0 ზოგადი ინგლისური/ B2.0 ზოგადი ინგლისური	5										5
4	ENGL 0006/ ENGL 0008	ENGL 0005/ ENGL 0007	B1 ზოგადი ინგლისური/ B2 ზოგადი ინგლისური		5									5
5	ENGL 0007/ ENGL 0009	ENGL 0006/ ENGL 0008	B2.0 ზოგადი ინგლისური/C 1.0 ზოგადი ინგლისური			5								5
6	ENGL 0008/ ENGL 0010	ENGL 0007/ ENGL 0009	B2 ზოგადი ინგლისური/ C 1 ზოგადი ინგლისური				5							5
7	PMME 3160	არ გააჩნია	პროექტის მართვა, მონიტორინგი და შეფასება					5						5
8	HIST 0003	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია, ცივილიზაცია და კულტურა								5			5
9	SCML 5260	არ გააჩნია	სკოლის მენეჯმენტი და ლიდერობა										5	5
			არჩევითი საგნები								**5**	**10**		**15**
10	DEM 4260	არ გააჩნია	დემოკრატიული კულტურა და ადამიანის უფლებების სწავლება სკოლაში								5			5
11	SOC 4260	არ გააჩნია	სოციოლოგია - ზოგადი კურსი								5			5

12	CSC 4260	PROF 1161	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენება სწავლა–სწავლების პროცესში (დამატებითი კურსი)								5			5
13	EMS 5160	არ გააჩნია	განმანათლებლობა და თანამედროვე საზოგადოება									5		5
14	PHIL 0005	არ გააჩნია	ფილოსოფია									5		5
15	EDUP 5160	არ გააჩნია	განათლების პოლიტიკა									5		5
16	FBUS 5160	არ გააჩნია	ბიზნესის საფუძვლები და კარიერის დაგეგმვა დაწყებით საფეხურზე									5		5
17	REL 5160	არ გააჩნია	რელიგიათმცოდნეობა									5		5
			საგნობრივი და მეთოდური მოდული 180>	**15**	**15**	**20**	**20**	**25**	**25**	**25**	**15**	**20**	**0**	**180**
			პროფესიული უნარები / პედაგოგიკა											**60**
18	PROF 1160	არ გააჩნია	ბავშვის განვითარების ფსიქოლოგია	5										5
19	PROF 1161	არ გააჩნია	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში (საბაზისო კურსი)	5										5
20	PROF 1162	არ გააჩნია	წიგნიერების უნარების განვითარება დაწყებით საფეხურზე - კითხვის სტრატეგიები	5										5
21	PROF 1260	არ გააჩნია	პიროვნების განვითარებისა და განათლების თეორიები		5									5
22	PROF 1261	არ გააჩნია	სასკოლო სასწავლო გეგმა და არაფორმალური განათლება		5									5
23	PROF 1262	არ გააჩნია	განათლების თანამედროვე ტენდენციები, კვლევები და გამოწვევები		5									5
24	PROF 2160	PROF 1262	სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სწავლებისა და შეფასების ეფექტური სტრატეგიები			5								5
25	PROF 3160	PROF 1160	კლასის მართვა					5						5
26	PROF 3161	PSYC 0006, PROF 1160, PROF 1260	განათლების ფსიქოლოგია					5						5
27	PROF 3260	PROF 1160	ინკლუზიური განათლება						5					5
28	PROF 5160	არ გააჩნია	კონფლიტების მართვა და არაძალადობრივი გარემოს ფორმირება									5		5

29	PROF 5161	PROF 1262	მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ეთიკა									5		5
			საზოგადოებრივი მეცნიერებები											**20**
30	SS 2160	არ გააჩნია	მე და საზოგადოება (I ნაწილი)			5								5
31	SS 2260	SS 2160	მე და საზოგადოება (II ნაწილი)				5							5
32.	SS 2161	არ გააჩნია	ჩვენი საქართველო (I ნაწილი)			5								5
33	SS 2261	SS 2161	ჩვენი საქართველო (II ნაწილი)				5							5
			ბუნებისმეტყველება											**25**
34	NS 2260	არ გააჩნია	ბუნებისმეტყველების სწავლების კონცეფცია დაწყებით საფეხურზე				5							5
35	NS 3160	NS 2260	ბუნებისმეტყველების სწავლების პრაქტიკული მიდგომები დაწყებით საფეხურზე					5						5
36	NS 3161	NS 2260	ბუნებისმეტყველების კვლევაზე დაფუძნებული სწავლება დაწყებით საფეხურზე					5						5
37	NS 3260	NS 2260	ბუნებისმეტყველების ინტეგრირებული სწავლება დაწყებით საფეხურზე						5					5
38	NS 3261	PROF 1161	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენება ბუნებისმეტყველების სწავლებისას დაწყებით საფეხურზე						5					5
			მათემატიკა											**35**
39	MATH 2160	არ გააჩნია	მათემატიკა დაწყებით საფეხურზე, ციფრული და რაოდენობრივი წიგნიერება (I ნაწილი)			5								5
40	MATH 2260	MATH 2160	მათემატიკა დაწყებით საფეხურზე, ციფრული და რაოდენობრივი წიგნიერება (II ნაწილი)				5							5
41	MATH 3160	MATH2260	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა - 1 (დაწყებითი)					5						5
42	MATH 3260	MATH 3160	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა - 2 (დაწყებითი)						5					5

43	MATH 4160	PROF 1161	საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების პრინციპები მათემატიკის დაწყებით კურსში							5				5
44	MATH 4161	MATH 3160	მათემატიკის სწავლების ინოვაციური მეთოდები დაწყებით საფეხურზე							5				5
45	MATH 4260	MATH 2160, MATH 2260, MATH 3160, MATH 3260, MATH 4161	მათემატიკის რემედიაციური სწავლება								5			5
			ქართული ენისა და ლიტერატურის მოდული											**40**
46	GLL 3160	არ გააჩნია	ქართული ენის გრაამატიკა 1 (სალიტ. ენის ისტ. საკითხები, ფონეტიკა, ფონოლოგია, სახელის მორფოლოგია, მართლწერის საკითხები)						5					5
47	GLL 4160	GLL 3160	ქართული ენის გრამატიკა 2 (ზმნის მორფოლოგია, ფორმაუცვლელი სიტყვები, მართლწერის საკითხები)							5				5
48	GLL 4260	GLL 4160	ქართული ენის გრამატიკა 3 (სინტაქსი)								5			5
49	GLL 5160	GLL 4260	ქართული ენის ლექსიკოლოგია და სტილისტიკა									5		5
50	GLL 4161	არ გააჩნია	ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები							5				5
51	GLL 4162	GLL 4161	საბავშვო ლიტერატურა, ტექსტები, ანალიზი							5				5
52	GLL 4261	PROF 1162	ტექსტთან მუშაობა და წერის სტრატეგიები								5			5
53	GLL 5161	PROF 1162, PROF 2160	კითხვის რემედიაციული სწავლება									5		5
			სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული	**0**	**10**	**5**	**5**	**0**	**5**	**5**	**5**	**0**	**25**	**60**
54	PRAC 1260	არ გააჩნია	განათლების კვლევების დიზაინი და მეთოდოლოგია - I ნაწილი		5									5
55	PRAC 2160	PRAC 1260	განათლების კვლევების დიზაინი და მეთოდოლოგია - II ნაწილი			5								5
56	PRAC 4160	PRAC 2160	კვლევის თეორია და პრაქტიკა პედაგოგიურ საქმიანობაში							5				5
57	PRAC 1261	PROF 1160,	სასკოლო პრაქტიკა - 1 (პროფესიული უნარები)		5									5

		PROF 1162.												
58	PRAC 2260	SS 2160, SS 2161	სასკოლო პრაქტიკა - 2 (საზოგადოებრივი მეცნიერებები)				5							5
59	PRAC 3260	NS 3160, NS 3161, NS 3260, NS 3261.	სასკოლო პრაქტიკა - 3 (ბუნებისმეტყველება)						5					5
60	PRAC 4260	MATH 4160, MATH 4260.	სასკოლო პრაქტიკა - 4 (მათემატიკა)								5			5
61	PRAC 5260	GLL 5160, GLL 4261, GLL 5161.	სასკოლო პრაქტიკა - 5 (ქართულიენა და ლიტერატურა)										5	5
62	THES 5260	PRAC 4160	სამაგისტრო ნაშრომი										20	20
ECTS კრედიტები			სემესტრში	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**300**
			წელიწადში	**60**		**60**		**60**		**60**				
			საგნების\მოდულების რაოდენობა წელიწადში											